ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37210391**
თარიღი:**08/02/2021**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ საკრებულოს წევრის დავით ჭაკნელიძის ინიციატივისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე შეისწავლა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში (ჩირეს უბანი) მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების საკითხი.

2020 წლის 4 მარტს შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში (ჩირეს უბანი) შედგა შემაჯამებელი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და გაიმართა უსახელო ქუჩის სახელდების საჯარო განხილვა.

ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩის სახელდების სხვადასხვა ვარიანტების განხილვის, მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციებისა და საჯარო განხილვის შედეგებიდან გამომდინარე კომისიამ დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომის ერთ-ერთ უბანზე (ჩირე) მდებარე უსახელო ქუჩას ეწოდოს ნოდარ დუმბაძის ქუჩა.

2. სოფ. შრომის ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩის ნოდარ დუმბაძის ქუჩად სახელდების შესახებ საჭირო დოკუმენტები გადაეგზავნოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო სტრუქტურებსა და შესაბამის სამთავრობო კომისიას.~

ზემოთ აღნიშნული უსახელო ქუჩისათვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭება განაპირობა:

1. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ადგილობრივმა მოსახლეობამ თვითნებურად მიანიჭა ნოდარ დუმბაძის სახელი ზემოთ აღნიშნულ უსახელო ქუჩას და შესაბამისი ფირნიშებიც მოაწყვეს.

2. ზემოთ აღნიშნული ქუჩით დანიშნულების ადგილის იდენტიფიკაციას ახდენდნენ ფოთიდან და თბილისიდან, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოსული

ტურისტები და დამსვენებლები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ უსახელო ქუჩას ნოდარ დუმბაძის ქუჩის სახელით იცნობენ.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომის, განსაკუთრებით ჩირეს უბნის მოსახლეობისა და ამავე ქუჩაზე განთავსებული სასტუმროებისა და სხვა ობიექტების დაჟინებულმა მოთხოვნამ, რაც გაზიარებული იქნა კომისიის მიერ.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი